ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 6

ქ. თეთრიწყარო 21 იანვარი 2015 წელი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდეგში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ი.მ „ფირუზი წამალაშვილი" (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ.კოდაში მდებარე (ს/კ 84.06.38.053-ზე განთავსებული №26) შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შედგენის /22114310-CPV/შესყიდვა.

2.ხელშეკრულების ფასი:

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 410 (ოთხას ათი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:
3.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან ათი დღის ვადაში უზრუნველყოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ.კოდაში მდებარე (ს/კ 84.06.38.053-ზე განთავსებული №26) შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შედგენა.
3.2. მომსახურება გაწიოს სათანადო ხარისხით და თავისი ხარჯებით აღმოფხვრას მის მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობები შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

"შემსყიდველი" ვალდებულია:
3.3. უზრუნველყოს მიმწოდებელი აღნიშნულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციით.
3.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების დროულად და ხარისხიანად გაწევის შემდეგ ჩაურიცხოს მას საბანკო ანგარიშზე გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისად გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 30 დღის ვადაში;.
4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს გამოვლენილი უზუსტობების აღმოფხვრას და იხდის ჯარიმას, რომელიც შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2. აღნიშნულ ჯარიმას შემსყიდველი გამოუქვითავს მიმწოდებელს გაწეული მომსახურებისათვის გადასახდელი თანხიდან.
5.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან.
5.4 ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს გადაუხდელი თანხის 0,1%-ს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაწყებული ვადაგადაცილების პირველი დღიდან.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – მზია ადუაშვილი.
10.2. შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილ ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

11. დავის გადაწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2 თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების შესრულების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 21 იანვრიდან 2015 წლის 01 მაისამდე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართი

„შემსყიდველი":

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ. თეთრიწყარო თამარ მეფის ქ №34
ს/კოდი: 230869254
ა/ა GE02LB0120116397860000
ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს
თეთრიწყაროს ფილიალი
ბ/კოდი LBRTGE22

„მომწოდებელი":

ი.მ „ფირუზი წამალაშვილი"
თეთრიწყარო, სოფ. საღრაშენი
ს/კოდი: 22001001120
ა/ა GE93LB0112130424452000
ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს
თეთრიწყაროს ფილიალი
ბ/კოდი LBRTGE(220101428)

14. მხარეთა ხელმოწერები

ბესიკ წიკლაური
მუნიციპალიტეტის გამგებელი

ფირუზი წალამაშვილი
ინდივიდუალური მეწარმე